6
ივნისი
ოთხშაბათი,
1962 წ.
№ 110 (1961)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

კომპოზიციამ, კერძოდ საეტიუდო ხელოვნებამ, ფართოდ გაიდგა ფესვები საჭადრაკო სამყაროში. ეს იმიტომ, რომ მისი ენა ყველასათვის გასაგებია. დაახლოებით ერთნაირად ესმის ეტიუდის სილამაზე, მასში ჩაქსოვილი იდეის მოხდენილობა მსოფლიოს ყველა ხალხს. ამიტომ მოულოდნელი არაა, რომ გაზეთ „ლელოს“ რედაქციის მიერ გასული წლის ზაფხულში გამოცხადებულმა საერთაშორისო კონკურსმა — „მშვიდობისათვის“ (საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში) ფართო რეზონანსი ჰპოვა მსოფლიოში. თითქმის ორი თვის მანძილზე უწყვეტ ნაკადად შემოდიოდა რედაქციაში წერილები ეტიუდებით. კონვერტები ლონდონის, ნიუ-იორკის, სოფიის, ბერლინის, პრაღის, სტოკჰოლმის, ბუდაპეშტისა და მსოფლიოს სხვა ქალაქების საფოსტო ბეჭდებით. ზოგი ეტიუდისტი დეპეშით გვატყობინებდა ეტიუდის გამოგზავნას. ერთი ასეთი დეპეშა მივიღეთ ხმელთაშუა ზღვაში მყოფი ერთ-ერთი საბჭოთა თბომავლის მეზღვაურისაგან. კონკურსზე შემოვიდა 72 ეტიუდისტის 120 ეტიუდი.

კონკურსის ჟიურიმ (საერთაშორისო არბიტრი, სპორტის ოსტატი კომპოზიციაში ვ. ნადარეიშვილი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ქარსელაძე, ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე) ამას წინათ დაამთავრა ეტიუდების განხილვა. ჟიური აღნიშნავს, რომ ეტიუდების უმრავლესობა მაღალი შემოქმედებითი პათოსითაა შედგენილი. ბევრი ნაშრომი გაცხოველებულ კამათს, დავას იწვევდა. ზოგ ეტიუდში აღმოჩენილ იქნა დუალები, ტექნიკური შეცდომები, ზოგი კიდევ ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს მხატვრული საჭადრაკო ეტიუდის თვალსაზრისით. ბოლოს ჟიურიმ დახვეწა დასაჯილდოებელი ეტიუდები, მათგან ამოარჩია საუკეთესონი და პრიზებიც მიანიჭა.

I პრიზი ჟიურიმ ერთხმად მიაკუთვნა ვ. კალანდაძისა და ვ. ნეიძის ეტიუდს. ახალგაზრდა ეტიუდისტებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ინჟინერმა ვ. კალანდაძემ და გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ვ. ნეიძემ შესანიშნავი ეტიუდი შექმნეს. ეტიუდში ოსტატურადაა შერწყმული უაღრესად დახვეწილი თამაში კონკრეტულ იდეასთან. მნახველს აუცილებლად მოხიბლავს თვითბლოკირების მექანიზმი, რომელიც მახვილგონივრულადაა ჩაქსოვილი ეტიუდში.

დინამიურია მოსკოველი რკინიგზის ინჟინრის გ. ზახოდიაკინის ეტიუდი, რომელმაც II პრიზი დაიმსახურა. ეტიუდში მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი თამაშია ყაიმის მისაღწევად. საინტერესოა, რომ ლაზიერი ვერაფერს ხდება „სუსტ“ ფიგურებთან ბრძოლაში.

მხოლოდ ფინალში მჟღავნდება III პრიზით აღნიშნული ეტიუდის დედააზრი — პოზიციური ყაიმი ფიგურაზე მუდმივი დაცემით. მისმა ავტორმა პრაღის ეკონომიკის ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორმა ვ. პახმანმა (გროსმაისტერ ლ. პახმანის უფროსი ძმა) მოხდენილად შენიღბა იდეა. ეტიუდის საიდუმლოება თეთრი მეფის მანევრშია.

IV პრიზი მიენიჭა ვ. ტიავლოვსკის (სსრ კავშირი). რა მოეწონა ჟიურის მის ეტიუდში? უპირველეს ყოვლისა შინაარსის ღრმა იდეურობა და ფორმის ბუნებრიობა.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კოროლკოვი (ლენინგრადი) ეტიუდისტთა „ვეშაპებს“ მიეკუთვნება. მისი ეტიუდები ყოველთვის სავსეა მოულოდნელი გადაწყვეტილებებით, კონსტრუქციის (იგი ინჟინერ-კონსტრუქტორია) სიახლით. V პრიზით აღნიშნულ მის ეტიუდს, სამწუხაროდ, ჰყავს ნაწილობრივი წინამორბედი ეტიუდის ფუძემდებლის ა. ტროიცკის ერთ-ერთი ეტიუდის სახით. მაგრამ, ვ. კოროლკოვმა სხვა ასპექტიდან დაამუშავა მხედრების „ჭირითი“ და ამისათვის მიიღო მაღალი შეფასება.

ვ. კოროლკოვის მეგობრის ქიმიკოსი-ინჟინრის ვ. მიტროფანოვის ნამუშევარი ჟიურიმ ერთხმად მოიწონა. ეტიუდის ხარვეზად ჩაითვლება შავი მხედრის არაბუნებრივი მდებარეობა, თორემ ეტლის მუშაობა მე-5 ჰორიზონტალზე უფრო მაღალ ჯილდოს იმსახურებდა, ვიდრე VI პრიზია, რომელიც მან მიიღო.

კონკურსის ჟიურიმ მაღალი შეფასებით აღნიშნა კიდევ 12 ეტიუდი. ლამაზი კომბინაციური ბრძოლაა ვ. ევრეინოვის ეტიუდში. მომხიბლავია ვ. ბრონის ეტიუდში მეფის დევნა. გვეგონებათ ოსტატთა პარტიის დამთავრებაა შვედი ა. აკერბლომის ეტიუდი, რომელშიც მხარეთა თამაში ლოგიკური თანამიმდევრობით ვითარდება. ფინელი ვ. ჰეინონენის ეტიუდში თამაში გონებამახვილურად იწყება, რაც განაპირობებს დავალების შესრულებას. პოზიციური ყაიმის თემა განახორციელა ბაქოელმა ა. სარიჩევმა და ლაზათიანადაც დაამუშავა იგი. მსუბუქი ფიგურების მანევრები არ არის ჩვეულებრივი. მასში „გონებაცაა“ ჩატანებული. დიდი ტილოა ვ. ბრონის მეორე ეტიუდი. ფიგურების ყოველი სვლა მათემატიკური სიზუსტითაა გამოანგარიშებული. შამათი, რითაც მთავრდება თამაში, კარგად ავლენს თეთრების შორსმჭვრეტელობას. ეტლების დასამახსოვრებელი დამთავრებაა პ. ბაზირის ეტიუდი. არ შეიძლება მოწონების ღიმილი არ მოგვგვაროს შვედი ა. გილდებრანდის ეტიუდმა — პაიკი დაჟინებით მისდევს ორ შავ ეტლს და თავის მეფისათვის „მშვიდობა“ მიაქვს. დნეპროპეტროვსკელმა თ. ბონდარენკომ განახორციელა „სიმაგრის დაშლის“ თემა ახალ სიტუაციაში. მშვენიერი თამაშით მთავრდება ნოვოსიბირსკელი დ. პეტროვის ეტიუდი, ხოლო ფინელი რ. ჰეისკანენის ეტიუდში ეტლი სასწაულს ჩადის. მას ლაზიერიც კი ვერ ერევა. ჩეხი ი. შინდელერის ეტიუდი პრაქტიკული პარტიის ფინალს წააგავს. საინტერესოა თვით ეტიუდის დასკვნითი პოზიცია.

საერთაშორისო კონკურსის შედეგები უდაოდ დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს. მხოლოდ ორი თვის შემდეგ შევა ძალაში კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებები.

— შეიძლება ჩემმა ეტიუდმა ვერ მიიღოს პრიზი, ვერც უბრალო აღნიშვნა დაიმსახუროს, მაგრამ რაკი კონკურსი ემსახურება მშვიდობის დიად საქმეს, კეთილი ნების ადამიანებს შორის ურთიერთ გაგებას, სიამოვნებით გიგზავნით ჩემს ნაწარმოებს. — წერდა რედაქციას ქ. არტემოვსკის ქარხანა „ცვეტმეტის“ მუშა ნ. დუგანოვი.

და მართლაც, ჩვენი საერთაშორისო კონკურსით მსოფლიოს ეტიუდისტებს თავიანთი წვლილი შეაქვთ მშვიდობისათვის ბრძოლის დიად საქმეში.

კონკურსი „მშვიდობისათვის“

ვ. კალანდაძე, ვ. ნეიძე (სსრ კავშირი)
В. КАЛАНДАДЗЕ, В. НЕИДЗЕ (СССР)
I პრიზი — ПРИЗ



მოგება — выигрыш

1. b8ლ (არაფერს იძლევა 1. კf2+ მფ:h3 2. b8ლ კd7+ 3. მფb3 კc6+ 4. მფc2 კf5+ 5. მფd1 კg4+ და ყაიმია მუდმივი ქიშით) 1. ...კd7+ (აგებდა 1. ...კ:h3 2. ლf4+ კg4 3. კf2+ მფh5 4. ლe5+ გამო) 2. მფb3 კc6+ 3. მფc2 კf5+ 4. მფd1 კg4+! (ერთადერთია. აგებდა 4. ...კ:h3 5. კf2+ მფg4 6. ლe5! მh5 7. ლe4+ და 8. ლd5+ გამო. შავები აგრძელებენ ქიშების გამოცხადებას) 5. მფ:1 კg5+ 6. მf4! ეc8+ 7. მფd2 ეd8+ 8. მფe1 ე:b8 (თეთრებმა თავიდან მოიცილეს აბეზარი ქიშები და აიძულეს შავები აეყვანათ ლაზიერი) 9. კf2X

გ. ზახოდიაკინი (სსრ კავშირი)
Г. ЗАХОДЯКИН (СССР)
II პრიზი — ПРИЗ



ყაიმი — ничья

1. e7 ლa1 2. კe3! (ამ „წყნარ“ სვლაში ჩაქსოვილია ეტიუდის დედააზრი. ყველა სხვა სვლა ვერ აღწევს ყაიმს. თუ 2. მb6+, მაშინ 2. ...მფb1 3. კe3 ლe3 მოიგებდა). 2. ...ლ:e3 (შავები იძულებული არიან მიიღონ შეწირვა. 2. ...ლc3 მოჰყვებოდა 3. e8ლ+) 3. მb6+ მფb5 4. მd5! ლa7+ (თუ 4. ...ლe6, მაშინ 5. e8ლ+ ლ:e8 6. მc7+) 5. მფb1 ლg1+ 6. მფa2 ლg8 7. e8ლ+ ლ:e8 8. მc7+ და ყაიმია.

ეტიუდის ღირსებაა თეთრი კუს დროული შეწირვა გზაჯვარედინზე, სადაც ინასკვება შავი ფიგურების ურთიერთმოქმედება.

ვ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია)
В. ПАХМАН (Чехословакия)
III პრიზი — ПРИЗ



ყაიმი — ничья

1. კh6 მf1 (თუ 1. ...მf5, მაშინ 2. კf4 h2 3. კh2) 2. მფb5! (თეთრები შორსმჭვრეტელურად ათავისუფლებენ მხედრისათვის c4-ის უჯრას) 2. ...g2 3. მc5 g1ლ 4. მ:e4 მფh7 (მიუხედავად მატერიალური უპირატესობისა, შავების მეფე ვერ ახერხებს საშამათო ქსელიდან გამოსვლას და იძულებულია თავი დაიცვას შამათის მუდმივი მუქარისაგან) 5. კf8 მფg8 6. კh6 პოზიციური ყაიმი.

ეტიუდისტის ჩანაფიქრი, მისი ტაქტიკური აზრი, საშამათო ქსელის აგება ვ. პახმანს უკვე საწყის პოზიციაში აქვს შენიღბული.

ვ. ტიავლოვსკი (სსრ კავშირი)
В. ТЯВЛОВСКИЙ (СССР)
IV პრიზი — ПРИЗ



ყაიმი — ничья

1. d6+ (ყაიმის ერთადერთი გზა. თუ 1. b7? e1ლ 2. d6+ მფd7 3. b8ლ ლb4+ 4. კb2 ლ:b2+ 5. კb3 ლ:b3+ 6. მფa6 ე:b8 და პატიაპის უარყოფაა 6. ...ლa4+!) 1. ...მფ7 2. კe6+ მფ:e6 3. d7 მფ:d7 4. b7 e1ე! (ლაზიერის გაყვანის შემთხვევაში თეთრებს ზემოთ განხილული პატი აქვთ) 5. b8მ+ და ყაიმია.

მოკლე, მაგრამ გრიგალისებურ შერკინებაში მოცემულია პოზიციის კონკრეტული, კუბელისებური გადაწყვეტა. ორივე მხარეს მიზნის მისაღწევად უხდება უარის თქმა უძლიერესი ფიგურის გარდაქცევაზე, რაც გასაოცარი ლოგიკით შეუქრავს ვ. ტიავლოვსკის.

ვ. კოროლკოვი (სსრ კავშირი)
В. КОРОЛЬКОВ (СССР)
V პრიზი — ПРИЗ



მოგება — выигрыш

1. c7 (მხოლოდ ასე. თუ 1. e6? მაშინ 1. ...მg4 2. მe5+ მფ:e5 3. c7 მd6 4. e7 e3 5. e8ლ მ:e8 6. c8ლ მd3+ 7. მფd1 e2+ 8. მფc2 e1ლ ყაიმით) 1. ...მb6 2. e6 მg4 3. მe5+! (პირველი „ჩანგალი“, რომლის მიზანია შავი მხედრის მიზიდვა არასასურველ უჯრაზე) 3. ...მფf4! 4. e7 მf6 5. მd7! (მეორე ლამაზი „ჩანგალი“) 5. ...მe8 6. c:b6 მ:c7 7. მd5+! მ:d5 8. e8ლ და თეთრები იგებენ. მე-5 სვლაზე შავებს შეუძლიათ აირჩიონ სხვა გაგრძელება: 5. ...მc8 6. მ:f6 მ:e7 7. მd5+! მ:d5 8. e8ლ და თეთრები კვლავ იგებენ.

შესანიშნავი ეტიუდია. მხედრების „დოღი“ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

კონკურსი „მშვიდობისათვის“

ვ. მიტროფანოვი (სსრ კავშირი)

В. МИТРОФАНОВ (СССР)

VI პრიზი—ПРИЗ



ყაიმი — **ничья**

1. ეf5+ (კონტროლით მე-5 ჰორიზონტალზე) 1. ...მფc6 2. მb3 c1ლ 3. მ:c1 ed 4. ეc5+ მფb6 (ეტლის აღება არ შეიძლება პაიკის დაკარგვის გამო) 5. ეb5+! მფa6 (ეტლის აღების შემთხვევაში თეთრები თამაშობენ 6. მa2 მფc5 7. მc3 მფd4 8. მd1 მფ:d3 9. მფf3 მფe2 10. მe3+ მფd3 11. მd1 ყაიმით) 6. ეa5+ მფb6 7. ეb5+ მფc6 8. ეc5+ მფd6 9. ეd5+ მფe6 10. ეe5+ მფf6 11. ეf5+ მფe6 12. ეe5+ ყაიმი.

• • •

ვ. ევრეინოვი (სსრ კავშირი)

В. ЭВРЕИНОВ (СССР)

I საპატიო შეფასება—

почетный отзыв

თეთრები: მფf1, ეf3, კb7, მc6 (4)

შავები: მფh1, ეf8, ეh7, პ-ბი: f2, h2 (5)

მოგება — **выигрыш**

1. ეf7 (ძლიერი სვლაა, რომლის მიზანია შავი ეტლების ერთ ხაზზე გადაყვანა) 1. ...ეh:f7 2. მe7+ ეf3 3. მc8! (ყაიმი გამოდიოდა 3. მg6? ეf7 4. კd5 ეf5 5. მe5 ეf4 6. მ:f3 ეe4! 7. კc6 ეc4 8. კb7 ეb4 9. კd5 ეe4 შემდეგ) 3. ...ეf5 4. კe4 ეf6 5. მd6 ეf4 6. კ:f3+ ე:f3 7. მe4! (ცუგცვანგია) 7. ...ეe3 8. მ:f2×

□

ვ. ბრონი (სსრ კავშირი)

В. БРОН (СССР)

II საპატიო შეფასება —

почетный отзыв

თეთრები: მფa2, ეa5, კf1, მg5 (4)

შავები: მფe7, ეd6, პ. g2 (3)

მოგება — **выигрыш**

1. ეa7+ მფe8 (თუ 1. ...მფf6 2. მe4+ და 3. კ:g2, ხოლო 1. ...მფf8 2. მh7+ მფe8 3. კb5+ მფd8 4. ეg7 მოგებით) 2. კb5+ მფf8 3. მh7+ (ყაიმი იყო 3. ეf7+ მფg8 4. კc4 ეc6! 5. კb3 ეb6 6. კd5 ეd6 მუდმივი თავდასხმით თეთრების კუზე) 3. ...მფg8 4. კc4+ მფh8 5. მg5 ეa6+! 6. კ:a6! (მცდარი კვალი იყო 6. ე:a6 g1ლ 7. ეa8+ მფg7 8. ეg8+ მფh6 9. მf7+ მფh6 10. ე:g1 პატი) 6. ...g1ლ 7. ეh7+ მფg8 8. კc4+ მფf8 9. ეf7+ მფe8 10. კb5+ მფd8 11. მe6+ მფc8 12. კa6+ მფb8 13. ეb7+ მფa8 14. მc7×

□

ა. აკერბლომი (შვეცია)

А. АККЕРБЛОМ (Швеция)

III საპატიო შეფასება

— почетный отзыв

თეთრები: მფg5, ეa3, ეf4, მf3, პ-ბი: b4, c5 (6)

შავები: მფg7, ეf1, კb5, პ-ბი: a4, c7, e2, h3, h5 (8)

ყაიმი — **ничья**

1. ეe3 h2! (1. ...ეg1+ 2. მ:g1 h2 3. ეe7+ მფg8 4. მf3 h1ლ 5. მფh6 ლc1 6. ეg7+ მფh8 7. ეf7 კc4 8. ეf8+ კg8 9. მe5 ლ:f4+ 10. ე:f4 e1ლ 11. მg6×) 2. ეe7+! (2. მ:h2? ეg1+! 3. მფ:h5 e1ლ 4. ე:e1 ე:e1 5. მf3 ეh1+ 6. მფg5 h[illegible]! ∓) 2. ...მფg8 3. მფh6 ეg1 4. მ:g1! (4. ეef7? ეg6+! 5. მფ:g6 კe8 6. ეh4 კ:f7+ 7. მფg5 კd5 8. მe1 h1ლ 9. ე:h1 კ:h1∓) 4. ...hgლ 5. ეef7 მფh8 6. ეh7+ (6. ეf8+? ლg8 7. ე4f7 კd3∓) 6. ...მფg8 7. ეhf7 ლg6+! (7. ...ლg5+? 8. მფ:g5 e1ლ 9. ეf8+ მფh7 10. ეf7×) 8. მფ:g6 კe8 9. ეe4 კ:f7 10. მფf6! კc4 11. ეe8+ მფh7 12. ეe7+ მფh6 13. ეe8 კd3 14. ეh8+ კh7 16. ეe8 და ყაიმია.

□

ვ. ჰინონენი (ფინეთი)

В. ХИНОНЕН (Финляндия)

IV საპატიო შეფასება—

почетный отзыв

თეთრები: მფh1, ლf8, კd4, პ-ბი: a7, c3, d6, d7, f4, g5, h2, h3 (11)

შავები: მფf1, ეa2, კb1, მe2 (4)

მოგება — **выигрыш**

1. a8კ! (1. a8ლ? კe4+ 2. ლ:e4 მg3+ 3. hg ეh2+ 4. მფ:h2 პატი) ე:a8 2. ლe7 ეe8! 3. d8ლ ე:e7 4. ლa8 ეb7 5. ლa1 მc1 6. ლa6+ მe2 7. ლc6 და თეთრები იგებენ.

□

ა. სარიჩევი (სსრ კავშირი)

А. САРЫЧЕВ (СССР)

V საპატიო შეფასება —

почетный отзыв

თეთრები: მფg2, კh4, მa2 პ. b2 (4)

შავები: მფb1, კh7, კh2, მf8 პ. g6 (5)

ყაიმი — **ничья**

1. მc3+ მფ:b2 2. მa4+ (მხოლოდ ასე. 2. მd1+? მფc1 მოგებით) 2. ...მფa3 (ცუდია 2. ...მფb3? 3. მc5+ მფc4 4. მფ:h2 მფ:c5 5. კe7+ ყაიმით) 3. მb6 კc7 (და არა 3. ...კd6? 4. მe4+ ყაიმით) 4. კe7+ მფb 5. მd5 მe6 6. მf6 მg5 6. მd5 მe6 და პოზიციური ყაიმია.

□

ვ. ბრონი (სსრ კავშირი)

В БРОН (СССР)

VI საპატიო შეფასება

— почетный отзыв

თეთრები: მფe4, ეf1, კa8, პ-ბი: a2, a4, c3, c6, f2 (8)

შავები: მფh1, კg1, პ-ბი: a3, b5, c7, d4, g3, h2 (8)

მოგება — **выигрыш**

1. მფf3 gf! 2. ეa1!! (თუ 2. ეe1 ba! 3. კb7 d3 4. კa6 d2. ეს სვლები მოჰყვებოდა ეტლის c1 ან b1 წასვლას, ხოლო 2. ეd1-ზე იქნება 2. ...ba 3. კb7 dc! შეცდომაა 2. მფe2 d3+ გამო) 2. ...ba 3. კb7 d3 4. კa6 d2 5. კe2 d1ლ 6. კ:d1 კ:f2 7. კc2+ კg1 8. კb1! (აი სად ხდება გასაგები 2. ეa1) 8. ...კb6 9. კe4+ კg1 10. ეf1! gfლ+ 11. მფg3 ლg2+ 12. კ:g2×

□

პ. ბაბიჩი (სსრ კავშირი)

П. БАБИЧ (СССР)

I საქები შეფასება —

—похвальный отзыв

თეთრები: მფd1, ეc4, პ-ბი: b2, e2, g6 (5)

შავები: მფb3, ეa4, პ-ბი: a7, f5, h3 (5)

მოგება — **выигрыш**

1. g7 (თუ 1. ეc3+? მფ:b2 2. ე:h3 ეg4!=; 1. ე:a4? მფ:a4 2. g7 h2=) 1. ...h2 (1. ...ე:c4 2. g8ლ h2 3. ლb8+ მოგება) 2. ეc3+ (2. g8ლ? h1ლ+ 3. მფd2 ე:c4!) 2. ...მფ:b2 3. ეb3+! (მხოლოდ ასე. 3. ეh3? ეg4!) 3. ...მფa1 (ასე უკეთესია. 3. ...მფ:b3 4. g8ლ+ და ა. შ. თუ 3. ...მფa2 4. g8ლ h1ლ+ 5. მფd2 ლh6+ 6. მფc2 და იგებენ) 4. ეh3 ეg4 5. მფc2 ეc4+ 6. მფb3 ეg4 7. ე:h2 ეg3+ 8. e3! ე:e3+ 9. მფc2 ეg3 10. ეh3 ეg2+ 11. მფb3 ეb2+ 12. მფc3 ეg2 13. ეh1+ მფa2 14. ეh2 და იგებენ.

□

ა. ჰილდებრანდი (შვეცია)

А. ГИЛЬДЕБРАНД (Швеция)

II საქები შეფასება

похвальный отзыв

თეთრები: მფg4, ეe2, მe4, პ-ბი: b7, c5, c6, d2, h6 (8)

შავები: მფd8, ეc3, ეe8, კa6, კf8 პ-ბი: f2, f6, f7 (8)

ყაიმი — **ничья**

1. b8ლ+ კc8+ 2. ლ:c8+ (მხოლოდ ასე. 2. მფh4 (5)? ეh3+ გამო თუ 2. მფf4? f1ლ+ 3. ეf2 ლ:f2 4. მ:f2 კ:h6∓) 2. ...მფ:c8 3. ე:f2 ე:e4+ 4. მფf5 ეce4 (თუ 4. ...ეe5+ 4. მფ:f6 ეc:c5 6. d4∓) 5. d3! ეe5+ 6. მფ:f6 ეc:c5 7. d4! (მეორედ მეორდება ნაცნობი სურათი) 7. ...ეe6+ 8. მფ:f7 ეc:c6 9. d5! ეe7+ 10. მფ:f8 ეcc7 11. d6! და ყაიმია.

□

ფ. ბონდარენკო (სსრ კავშირი)

Ф. БОНДАРЕНКО (СССР)

III საქები შეფასება —

похвальный отзыв

თეთრები: მფh1, პ-ბი: e6, g2 (3)

შავები: მფb8, კc7, პ-ბი: b5, g3, h3 (5)

მოგება — **выигрыш**

1. e7 h2 2. e8ლ+ მფb7 (თუ 2. ...მფa7? მაშინ 3. ლ:b5 მფa8 4. ლc6+ მფb8 5. ლa6! და თეთრები იგებენ) 3. ლ:b5+ მფc8 (3. ...კb6? 4. ლb3! და 5. ლ:g3±) 4. ლc6 მფd8 5. ლe6! კb8 6. ლg8+ მფc7 7. ლ:g3+ და იგებენ.

ნაწარმოებში ავტორმა მიზნად დაისახა „სიმაგრის დაშლის“ იდეა. ეს კიდევაც შეასრულა მან. საინტერესოა, რომ ტერმინი „სიმაგრის დაშლა“ შემოღებულია თვით ფ. ბონდარენკოს მიერ.

□

დ. პეტროვი (სსრ კავშირი)

Д. ПЕТРОВ (СССР)

IV საქები შეფასება —

похвальный отзыв

თეთრები: მფg6, ლf5, ეg8, კh3, პ. f7 (5)

შავები: მფh2, ლc3, ეf8, კf3, კg1. პ. f2 (6)

მოგება — **выигрыш**

1. კf1 კe4 2. ლ:e4 ე:g8+ 3. fgკ! (3. fgლ? ლf6+! 4. მფh5 ლh6+ 5. მფ:h6 პატი) 3. ...ლg3+ 4. მფf5 ლf3+ შავები დაჟინებით თავაზობენ თავის ლაზიერს პატის მიღწევის მიზნით, მაგრამ) 5. ლf4+ (ახლა კი შავები არიან იძულებულნი აიღონ თეთრების ლაზიერი) 6. მფ:f4 მფh1 7. კd5+ მფh2 8. მფf3 მფh1 იძულებითია, 9. მფg3×

□

რ. ჰეისკანენი (ფინეთი)

Р. ХЕЙСКАНЕН (Финляндия)

V საქები შეფასება —

похвальный отзыв

თეთრები: მფa5, ეa1, პ-ბი: b4, b6, c5, c7, d6, g2 (8)

შავები: მფa8, ლh8, პ-ბი: a6, b7, d7, g3, g4, g5, g6 (9)

მოგება — **выигрыш**

1. ეa2 ლg8 2. ეa3 ლh8 3. ეc3 ლg8 4. ეc4 ლh8 5. ეd4 ლg8 6. ეd5 ლh8 7. ეe5 ლg8 8. ეe6 ლh8 (თუ 8. ...de 9. d7 მოგებით) 9. ეf6 ლg8 10. ეf7 ლh8 11. ეg7 ლe8 12. ე:g6 ლh8 13. ეg7 ლe8 14. ე:g5 ლh8 15. ეg7 ლe8 16. ე:g4 ლh8 17. ეg7 ლe8 18. ე:g3 ლh8 19. ეg7 და g პაიკის წინ წაწევით თეთრები იგებენ.

□

ი. შინდლერი (ჩეხოსლოვაკია)

И. ШИНДЛЕР (Чехословакия)

VI საქები შეფასება —

похвальный отзыв

თეთრები: მფd2, ეc1, კa7, პ-ბი: f2, h6 (5)

შავები: მფh7, ეa3, მb4, პ-ბი: c2, f4 (5)

ყაიმი — **ничья**

1. კc5! ეd3+ 2. მფe2 f3+ 3. მფe1 ეd1+ 4. ე:d1 მd3+ 5. მფd2 cdლ+ 6. მფ:d1 მ:c5 7. მფd2 მe4+ 8. მფe3 მg5 9. მფf4 მფ:h6 10. მფg4 მფg6 11. მფf4 მფh5 12. მფg3 პოზიციური ყაიმი.

Примечание: მფ—**король** ლ — **ферзь** ე — **ладья** კ — **слон** მ — **конь**

ყველგან ასე როდია

სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის მერძევეობა-მებოსტნეობის (დირექტორი ტ. კოპალეიშვილი, ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი) ფიზკულტურული კოლექტივი სპორტულ ზაფხულს მომზადებული ხვდება. გასულ წელს ამ მეურნეობის ფეხბურთელებმა და ფრენბურთელებმა სარაიონო პირველობაზე II საპრიზო ადგილები დაიკავეს, გადაჭარბებით იქნა შესრულებული მათ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. არც წელს აპირებენ თავის შერცხვენას ბაშელი სპორტსმენები, მათ თავიდანვე ხელი მოკიდეს სპორტული ბაზების — ორი სტადიონისა და ფრენბურთის მოედნების კეთილმოწყობას. ფეხბურთელები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, ველომრბოლელები და მძლეოსნები უკვე გაცხოველებით შეუდგნენ წვრთნას მომავალ შეჯიბრებებში ახალი წარმატებების მოპოვებისათვის. წელს მათ სპორტულ ბაზებს შეემატება კიდევ ახალი რამ — მძლეოსნობის სექტორები; მეურნეობის მშრომელებში დაინერგება საწარმოო ტანვარჯიში. თუ აქამდე მეურნეობას არ ჰყავდა ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, ეს საქმეც ბაშელ ფიზკულტურელთა სასარგებლოდაა გადაწყვეტილი. ახლა აქ ინსტრუქტორ-მეთოდისტად მუშაობს საქმის კარგი მცოდნე და ინიციატივიანი სპორტსმენი ა. კუპუხიძე.

ბაშელ ახალგაზრდობას თავის ზრუნვას არ აკლებს მეურნეობის დირექტორი ტ. კოპალეიშვილი, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ახალგაზრდა მეურნეებმა დასვენების საათებში გამოიწრთონ სხეული. ზრუნვას არ აკლებენ ახალგაზრდებს მეურნეობის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ასეთი ზრუნვით გარემოცულ ფიზკულტურულ კოლექტივში, ბუნებრივია, კარგი შედეგები არ დააყოვნებს.

მაგრამ ასე როდია ყველგან — რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობაში. ღანირ-ჭაგნის მებოსტნეობისა და სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელები (დირექტორები — გ. ღვინიანიძე და გ. არაბიძე) სრულიად არ ფიქრობენ იმაზე, რომ აქაურ ახალგაზრდობას რამდენადმე შეუქმნან პირობები სპორტული წრთობისა და დაოსტატებისათვის. აქ ვერ მოხერხდა და ვერ იქნა ფიზკულტურულ ინსტრუქტორ-მეთოდისტების სამუშაოზე აყვანა. არავინ ფიქრობს აქ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის საკითხებზე. ამ საქმის მოგვარება კი ძალზე ადვილი იქნებოდა, თუ სერიოზულად მოეკიდებოდნენ აღნიშნულ მეურნეობებში ფიზკულტურული მოძრაობის სათანადო დონეზე დაყენების საკითხს.

გ. ირინაული

ჩვენი სპორტსმენები ქალაქებსა და რაიონებში

ზესტაფონი

ამ დღეებში გაიმართა ზესტაფონისა და რუსთავის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა.

დაშნითა და ხმლით ბრძოლაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს სტუმრებმა, ხოლო რაპირაში — ზესტაფონელმა სპორტსმენებმა.

პირად პირველობაზე რაპირისტ ქალთა შორის გაიმარჯვა ზესტაფონელმა ს. შჩუკინამ, ხოლო ვაჟთა შორის — რუსთაველმა ი. ლუეუსმა. დაშნით ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა რუსთაველმა სპორტის ოსტატმა ი. ჯაოფოვმა, ხოლო ხმლით ბრძოლაში — ზესტაფონელმა გ. გაჩეჩილაძემ.

• • •

ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავს მიეძღვნა ნორჩ ფიზკულტურელთა რაიონული შეჯიბრება მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში, რომელშიც 14 გუნდი მონაწილეობდა.

მძლეოსნობაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მე-2 საშუალო სკოლის სპორტსმენები, ფრენბურთში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრეს მე-3, ხოლო ქალთა შორის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. კალათბურთში პირველი ადგილები წილად ხვდათ მე-4 საშუალო სკოლის ქალთა და ვაჟთა გუნდებს.

ხ. ტალახაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილი, არიკა — ეს ორი სიტყვა ახლა ყველა სპორტის მოყვარულს აკერია პირზე, დღეს არიკაში ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და ურუგვაის ფეხბურთელთა გუნდები. დღეს გამოირკვევა; თუ ვინ მოიპოვებს ტურნირის შემდგომ გაგრძელების უფლებას. მანამდე კი ჩვენი ფეხბურთელები (იხ. სურათები) ისვენებენ ქალაქის პარკებში, ზღვის პირას.

„გიგანტთა" მატჩის წინ

როგორი დაძაბულიც არ უნდა იყოს მიმდინარე მძლეოსნური სეზონი, მის ცენტრალურ მოვლენას მაინც „გიგანტების მატჩი" — აშშ-სა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა შეხვედრა წარმოადგენს წელს იგი გაიმართება ამერიკაში, რისთვისაც კარგახანია ემზადებიან, როგორც მასპინძლები, ისე ჩვენი ქვეყნის წამყვანი მძლეოსნები. „ნოვოსტის" სააგენტოს კორესპონდენტმა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მძლეოსნებს მიმართა თხოვნით, გაეზიარებინათ მისთვის თავიანთი შეხედულებანი მომავალი „გიგანტთა მატჩის" შესახებ. აი რა თქვეს მათ:

✦

ვ. ბრუმელი

მსოფლიო რეკორდსმენი

— ძალიან მსურს კვლავ შევხვდე ამერიკელებს. ამისათვის საჭიროა წარმატებით გავიარო მთელი რიგი დიდი მასშტაბის შერჩევითი შეჯიბრებანი და ცხადია, საჭიროა ბევრი ვარჯიში, ხტომა, შემთხვევითობიდან არავინაა დაზღვეული, მაგრამ მაინც ვეცდები ვაჩვენო მაღალი შედეგები.

ამერიკაში ბევრია პერსპექტიული სპორტსმენი. მათგან ჯერჯერობით ყველაზე კარგი შედეგი აქვს ი. ფაუსტს — 2.16 მ, მაგრამ ეს ყველაფერს არ ნიშნავს, რადგან ამერიკელები თავიანთ საუკეთესო ფორმაში სწორედ ივლისში შედიან. ჩემს ძირითად კონკურენტებად მაინც თომასი და ევანტი მიმაჩნია. სწორედ მათთან ბრძოლაში მსურს გამარჯვების მოპოვება. ჩემი ოცნებაა უახლოეს შეჯიბრებებზე დავძლიო 2 მ 26 სმ.

☐

რ. შავლაყაძე

ოლიმპიური ჩემპიონი

— ამერიკელ სიმაღლეზე მხტომელებთან რამდენჯერმე ვცადე ბედი და არასოდეს წამიგია. გასული წლის საკავშირო პირველობაზე განცდილი მარცხიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანე და უკვე წელს რამდენიმე მაღალი შედეგი ვაჩვენე. ერევანში გამართულ შეჯიბრებაზე დავძლიე 215 სმ, ჯერჯერობით კარგ სპორტულ ფორმაში ვარ და განზრახული მაქვს უკანასკნელი მაჩვენებლის გაუმჯობესება. ვფიქრობ წელსაც მომანდობენ ჩვენი ქვეყნის სპორტული ინტერესების დაცვას ამერიკელებთან მატჩში და შევეცდები არა მარტო ამერიკელებს, არამედ მსოფლიო რეკორდსმენს ვ. ბრუმელსაც დავუმტკიცო, რომ მე ჯერ კიდევ შემიძლია სიმაღლეზე ხტომა, თუმცა ვინ იცის, სპორტი სპორტია და შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

☐

თ. პრესი

მსოფლიო რეკორდსმენი

— ამჯერად ამერიკელები კარგად მოამზადებენ როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდებს. ისინი ხომ ჩვენი გამოცდილი და სერიოზული მოწინააღმდეგეები არიან. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ისინი 70 პროცენტით მაინც გადაახალისებენ თავიანთ გუნდს, მოსალოდნელია ამერიკელები წელს უკეთესად გამოვლენ, ვიდრე წინა მატჩებში. ჩემს ძირითად მოწინააღმდეგედ ე. ბრაუნს ვთვლი.

☐

ტ. ჩენჩიკი

საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი

— იმისათვის, რომ მოვხვდე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მძლეოსანთა მატჩზე, კიდევ ორ-სამჯერ უნდა ვაჩვენო მაღალი შედეგი. ვეცდები ეს ამოცანა დადებითად გადავწყვიტო, თუმცა ჯერჯერობით ამერიკის გუნდში არავინ მეგულება, რომელიც სერიოზულ კონკურენციას გაგვიწევს ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში, მაგრამ ამერიკელებს ჩვევიათ სიურპრიზები. რაც შეეხება მატჩს, იგი ნამდვილად მწვავე იქნება.

☐

პ. ბოლოტნიკოვი

მსოფლიო რეკორდსმენი

— გასულ წელს საბჭოთა სტაიერებს 5 და 10 ათას მეტრზე რბენაში არ ჰყოლიათ სათანადო კონკურენტები, მაგრამ ახლა ვფიქრობ ამერიკელები საკმაოდ ძლიერ სპორტსმენებს გამოიყვანენ და 10.000 მ რბენაში გამარჯვებული შეიძლება მხოლოდ ფინიშზე გამოვლინდეს. ჩვენ გამარჯვებული შეიძლება ვიყოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მატჩამდე 3-4 სპორტსმენი მაინც შეძლებს ამ დისტანციის 29 წუთზე უკეთეს დროში გარბენას.

მატჩისათვის სერიოზულად ვემზადები, ყოველ კვირას ვზრდი წვრთნის ნორმებს და ვეცდები 10.000 მ რბენაში გამოვიდე 29-წუთიანი ზღვარიდან.

☐

ო. ფედოსეევი

მსოფლიო ექს-რეკორდსმენი

— გუნდურ ჩათვლაში ჩვენ მოვიგებთ, თუმცა ბრძოლა ვფიქრობ მეტად დაძაბული იქნება. თუ მე მომიწევს შეჯიბრებაზე მონაწილეობის მიღება, ვეცდები სამხტომში გადავლახო 17 მ.

☐

ტ. შჩელკანოვა

მსოფლიო რეკორდსმენი

— ჩემის აზრით ეს მატჩი სავსე იქნება მოულოდნელობებით. სიამოვნებით ველოდები უაიტთან შეხვედრას, რომელმაც შარშან მოსკოვში 6 მ 40 სმ დაძლია და მხოლოდ 8 სმ-ით ჩამომრჩა. წელს კი, როგორც გავიგე, მას უკვე დაუძლევია 6 მ 46 სმ, გეტყვით კიდევ ჩემი ერთი ოცნების შესახებ — მინდა რევანში ავიღო ამერიკელებთან ესტაფეტაში (4 × 100) დამარცხებისათვის. მოსკოვში ხომ, მხოლოდ 0,2-ით წავაგეთ, რაც არც თუ ისე დიდი განსხვავებაა.

გაიხსნა მოკ-ის 59-ე სესია

მოსკოვის კრემლის თეატრში 4 ივნისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (მოკ-ის) 59-ე სესია, რომლის გახსნას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ევერი ბრენდეჯი.

სესიის მონაწილეებს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. პესლიაკი და საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. დ. მაშინი. სიტყვით გამოვიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ე. ბრენდეჯი და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ცნობა კუნძულ კიურასაოდან

4 ივნისს პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირზე გაიმართა XVII ტური. ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა გროსმაისტერების პეტროსიან-გელერისა და კერეს-კორჩნოის პარტიები.

პეტროსიანმა და გელერმა თავი აარიდეს ნამდვილ ბრძოლას. მე-16 სვლაზე ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ. კერესი და კორჩნოი დაძაბულად თამაშობდნენ, მაგრამ პარტია ვერ დაამთავრეს. იგი გადაიდო. კერესს გარკვეული უპირატესობა აქვს.

ტალმა ვერაფერი გააწყო ბენკოსთან და პარტია ყაიმით დამთავრა.

ფიშერი ყველა ღონეს ხმარობდა რომ „დაეჩოქებინა" ფილიპის მეფე, მაგრამ ვერ შეძლო. პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ფიშერის პოზიცია უფრო პერსპექტიულია.

XVII ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანსა და ე. გელერს 11 ქულა აქვთ, პ. კერესს — 10,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ვ. კორჩნოისა და რ. ფიშერს — 8 ქულა და თითო გადადებული პარტია თვითეულს.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა **გ. ჯანაშიას** („სპარტაკი", უფროსი მწვრთნელი კრივში).

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: **ხ. კოზანაშვილს** (სათხილამურო სპორტი, ბაკურიანი), **გ. ჯინჭარაძეს** (თავისუფალი ჭიდაობა, თბილისი), **გ. ჯოხაძეს** (ველოსპორტი, თბილისი), **ა. იგნატიევს** (ტყვიით სროლა, თბილისი).

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა წლების მანძილზე რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებების მსაჯობის ობიექტურად ჩატარებისათვის საკავშირო კატეგორიის მსაჯის საპატიო ნიშნით დააჯილდოვა: **რ. ხიმონიშვილი, ა. ხაბურზანია** (ველორბოლა).

ბაკურიანში ჩატარებულ სსრკ ხალხთა ზამთრის პირველ სპარტაკიადაზე კარგი მსაჯობისათვის საკავშირო სპორტკავშირმა დიპლომით დააჯილდოვა: **ქ. ახტახიშვილი** და **ფ. ნავერიანი.**

გაუმჯობესებული მსოფლიო რეკორდი

როგორც ამასწინათ ვიტყობინებოდით, ა. ორტერმა ლოს-ანჟელოსში გამართულ შეჯიბრებაზე ბადრო ტყორცნა 61 მ 10 სმ-ზე და მსოფლიო რეკორდი წაართვა თავის თანამემამულეს ჯ. სილვესტრს. მაგრამ არც ორტერის მაჩვენებელი შერჩა დიდხანს მსოფლიო რეკორდების ცხრილს. ამ დღეებში ლენინგრადის საქალაქო პირველობის დროს შესანიშნავად ტყორცნა ბადრო ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა ვ. ტრუსენევმა. მან ერთ-ერთ ცდაზე ბადრო ტყორცნა 61 მ 64 სმ-ზე და 54 სმ-ით გააუმჯობესა ა. ორტერის მსოფლიო რეკორდი.

☐

პოლონეთში ტურნეს წინ

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხელბურთში (7:7) — თბილისის „ბურევესტნიკი" რამდენიმე დღეში ესტუმრება პოლონეთს, ეს ქართველ ხელბურთელთა პირველი საზღვარგარეთული ტურნე იქნება. პოლონეთს თბილისელები ესტუმრებიან 9 ივნისს, მანამდე კი ისინი საკონტროლო-ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებენ მოსკოვის უძლიერეს გუნდებთან. ჩვენმა ხელბურთელებმა უკვე ჩაატარეს ერთი ასეთი მატჩი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — მოსკოვის „ტრუდთან" და გამარჯვება მოიპოვეს — 18:16. მოსკოვში ქართველი სპორტსმენები კიდევ ორ მატჩს ჩაატარებენ — საავიაციო ინსტიტუტისა და ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ხელბურთელებთან.



გუშინ მოსკოვსა და ბაქოში გაიმართა ფეხბურთში მიმდინარე წლის პირველობის გათამაშების მატჩები „ა" კლასის გუნდებს შორის.

მოსკოვში არმიელთა კოლექტივმა დაამარცხა რიგის „დაუგავა" — 1:0, ხოლო ბაქოში ადგილობრივი „ნეფტიანიკისა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

მეორე ადგილზე

მოსკოვში. ცსკა-ს სპორტულ დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა სამბოში. ეს შეჯიბრება წარმოადგენდა ძალთა სერიოზულ შემოწმებას დემოკრატიული ქვეყნების არმიათა საზაფხულო სპარტაკიადის წინ, რომელიც გაიმართება მიმდინარე წელს პრაღაში.

უმძიმეს წონაში ჩემპიონის წოდება მეორედ მოიპოვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ჩ. ქუცნიაშვილმა. მძიმე წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოველი ოსტატი ა. ილიუშინი, ქვემსუბუქ წონაშიც უპირატესობა მოსკოველი სპორტსმენის მხარეს იყო. გაიმარჯვა ვ. ხალიავინმა. მსუბუქ წონაში ჩემპიონობა ლენინგრადელმა ვ. ნატალენკომ მოიპოვა.

ქვესაშუალო წონაში ჩემპიონი გახდა ბალტიისპირეთის წარმომადგენელი ვ. ტოკმანოვი. საშუალო წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა მოლდაველმა ოსტატმა გ. ნონიკაშვილმა. ქვემძიმე წონაში პირველი ადგილი მოიპოვა ბ. მიშჩენკომ, ხოლო მძიმეში — ა. გარინმა (ორივე მოსკოვიდან).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის, ხოლო მეორეზე — თბილისის სპორტსმენთა კოლექტივი. მესამე ადგილი წილად ხვდათ ბელორუსელ სპორტსმენებს.

• • •

სურათზე: საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი სამბისტი, სპორტის ოსტატი ს. ჩიტაშვილი (მარჯვნივ) მტკივნეულ ილეთს უტარებს მოწინააღმდეგეს.

ფოტო და ტექსტი უ. მოსესოვისა.

გეგმა განახორციელა, მიზანს ვერ მიაღწია

ეთიოპელი [illegible]

დიდი ინტერესი გამოიწვია მალმეში გამართულმა ერთსაათიანმა რბენამ, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მარათონულ რბენაში ეთიოპიელი ბ. აბიბე. აბიბეს განზრახული ჰქონდა გაეუმჯობესებინა ცნობილი სტაიერის ე. ზატოპეკის რეკორდი, რომელიც დამყარებული იყო 1951 წელს და უდრიდა 20 კმ 52 მ-ს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზატოპეკი მანამდე ერთადერთი სპორტსმენი იყო, რომელიც გამოვიდა 20 კმ ზღვარიდან.

ბ. აბიბემ გეგმა განახორციელა, როცა ერთი საათი ამოიწურა და მსაჯებმა აბიბეს მიერ გავლილი მანძილი გაზომეს, აღმოჩნდა რომ მას გაერბინა 20 კმ 226 მ. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანამემამულე მ. ვოლდე — 20 კმ 56 მ.

ფიქრობენ, რომ ბ. აბიბეს მაჩვენებელი არ დამტკიცდება რეკორდად, რადგან შეჯიბრების პირობები მთლიანად არ შეესაბამებოდა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს.

ჩილის კალეიდოსკოპი

ზოგი რამ მონაწილეებზე

მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთაგან უხუცესია მექსიკელთა გუნდის მეკარე კარბახალი, რომელსაც 40 წელი შეუსრულდა. მეორე ადგილზეა ბრაზილიელთა მცველი ნ. სანტოსი, რომელსაც 17 მაისს შეუსრულდა 37 წელი.

ერთი დაბადების დღე იქნა აღნიშნული ბრაზილიელთა გუნდში მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის დროს. ჭაბუკ ცენტრფორვარდს კუტინიოს შეუსრულდა 19 წელი 3 ივნისს. მაგრამ ასეთი ასაკის მიუხედავად კუტინიო მაინც არაა ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე. ყველაზე ახალგაზრდაა იტალიელი თავდამსხმელი ჯანი რივერა, რომელიც მხოლოდ 18 წლისაა.

ჩემპიონატის ყველაზე მაღალი მონაწილეა კოლუმბიელთა უძლიერესი ფორვარდი დელიო გამბოა, ამ ზანგი სპორტსმენის სიმაღლე ჭეშმარიტად „კალათბურთულია"— 1 მეტრი და 90 სმ.

ყველაზე დაბალი მონაწილეა არგენტინელთა განთქმული თავდამსხმელი ხოსე სან-ფილიპო, — სიმაღლე 1 მეტრი 65 სმ, ამის მიუხედავად მან ინგლისელებთან ბურთი თავით გაიტანა.

სამი შემთხვევა

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიას ახსოვს სულ სამი შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე მოთამაშემ მეტოქის კარში 4 ბურთი გაიტანა. პირველი მათგანი იყო ბრაზილიის ნაკრების ცენტრფორვარდი ადემირი (1950 წლის ჩემპიონატში), იგივე გაიმეორა 1954 წელს უნგრელმა კოჩიშმა (მატჩში უნგრეთი-გფრ 8:3), ბოლოს იგივე შედეგი ჰქონდა მსოფლიოს ყველა ჩემპიონატის აბსოლუტურ სნაიპერს ფრანგ ფონტენს (გადამწყვეტი მატჩი მესამე ადგილისათვის საფრანგეთი-გფრ 6:3).

ამ ჩემპიონატამდე აღინიშნა 15 შემთხვევა, როდესაც ამათუიმ მოთამაშემ გაიტანა 3 ბურთი. და აი ფეხბურთის მიმომხილველებმა აღნიშნეს კიდევ ასეთი ერთი შემთხვევა. უნგრეთ-ბულგარეთის ამასწინანდელ მატჩში უნგრელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ფლორიან ალბერტმა გაიტანა 3 ბურთი. საერთოდ ალბერტი დღეს მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე უფრო შედეგიანი ფეხბურთელია. მან ორ თამაშში მეტოქეთა კარში 4 ბურთი გაიტანა. ერთით ნაკლები აქვს გატანილი ივანოვს (საბჭოთა კავშირი).

სპეციალური დავალებით

ჩილეში მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებისას დიდი გასაქანი მიეცათ ფეხბურთელებით მოვაჭრეებს. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევენ სამხრეთამერიკელ ფორვარდებს. იტალიურმა კლუბებმა „მილანმა" და „სამპდორიამ" ჩილეში მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები სპეციალური დავალებით. იტალიელებს სურთ ხელთ იგდონ არგენტინის უკანასკნელი ჩემპიონატის ყველაზე უფრო შედეგიანი მოთამაშე სან-ფილიპო და ჩილელი ფორვარდი ტორო.

პირველი ტურის შემდეგ

გაიმართა თბილისის მძლეოსანთა პირველობის I ტური ფიზკულტურული კოლექტივებისათვის. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ საწარმოთა და „დინამოს" რაისაბჭოების გუნდები. შეჯიბრების პროგრამა ერთობ შეზღუდული იყო, რაც მონაწილე კოლექტივებს საგრძნობლად უადვილებდა საქმეს, მაგრამ შედეგები მაინც არადამაკმაყოფილებელია, ორდღიანი ბრძოლის შედეგად ნაჩვენები იქნა მხოლოდ 4 პირველი თანრიგის შედეგი, მთელ რიგ სახეობებში კი, როგორიცაა, მაგალითად 400 მ ქალთა რბენა, ვაჟებისათვის 5 კმ სპორტული სიარული და 3000 მ რბენა, გამარჯვებულებმა ზ. კორჩაგინამ („სინათლე"), ვ. კორმაევმა („გამარჯვება"), ე. გუმანოვმა („დინამოს" მე-6 რაისაბჭო) ვერ შეძლეს თუნდაც მესამე თანრიგების შედეგის ჩვენება.

დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვეს ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში ი. მხეიძემ („დინამოს" მე-3 რაისაბჭო) — 46.71 მ და ვაჟებიდან მისმა თანაგუნდელმა ლ. შაგოვმა — 70 მ და განთიადელმა გ. აელოხოვმა — 66.22 მ — შუბის ტყორცნაში, ბ. სამოილენკომ („დინამოს" მე-3 რაისაბჭო) სიგრძეზე ხტომაში — 7.03 მ.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვლინდება II ტურის დამთავრების შემდეგ.

„ვერცხლის რაპირა"

კომოში (იტალია) დამთავრდა მოფარიკავე ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ვერცხლის რაპირის" პრიზზე.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პრიზი ხელთ ეპყრათ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს, შესაბამისად ვ. პრუდსკოვას და ა. ზაბელინას.

მასპინძლებმა ამჯერად არ გაუშვეს ხელიდან ეს საპატიო ჯილდო და „ვერცხლის რაპირის" მფლობელი გახდა ცნობილი იტალიელი მოფარიკავე ანტონელა რანიო. ვ. პრუდსკოვა მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

მოსწავლეთა XIV რესპუბლიკური სპარტაკიადა

7-10 ივნისს — **მძლეოსნობა** — „ბურევესტნიკის" სტადიონი, დასაწყისი 10 ს. და 18 ს. 30 წ.

7-10 ივნისს — **ცურვა** — ფიზკულტურელის პარკი, დასაწყისი 11 ს.

7-11 ივნისს — **ტანვარჯიში** — თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის ტანვარჯიშული დარბაზი, დასაწყისი 10 ს. და 17 ს.

7-11 ივნისს — **კალათბურთი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მოედნები, დასაწყისი 10 ს. და 17 ს.

7-11 ივნისს — **ფრენბურთი** — „განთიადის" მოედნები, დასაწყისი 10 ს. და 17 ს.

7-15 ივნისს — **ფეხბურთი** — 26 კომისრის სახელობის სტადიონი, დასაწყისი 10 ს. და 18 ს.

13-16 ივნისს — **წყალში ხტომა** — ფიზკულტურელის პარკი, დასაწყისი 11 ს.

13-16 ივნისს — **სროლა** — ავჭალის სასროლეთი, დასაწყისი 10 ს.

13-17 ივნისს — **მაგიდის ჩოგბურთი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული დარბაზი, დასაწყისი 10 ს.

13-17 ივნისს — **წყალბურთი** — ფიზკულტურელის პარკი, დასაწყისი 11 ს.

13-17 ივნისს — **ველორბოლა** — ნატახტარის გზატკეცილი, დასაწყისი 10 ს.

13-21 ივნისს — **ჭადრაკი** — რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბი, დასაწყისი 11 ს.

13-23 ივნისს — **ჩოგბურთი** — „დინამოს" კორტები, დასაწყისი 10 ს.

შეჯიბრება ნიჩბოსნობაში ჩატარდება ქ. ფოთში 13-დან 16 ივნისამდე.

ხვალ!

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი

კალათბურთში

ცსკა —
„დინამო"
(თბილისი)

დასაწყისი 20 ს.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 05750